ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №.....

ქ. ბათუმი ---- აგვისტო 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2026 წლის 08 აპრილის №10/1426098548-14 (№22; 08.04.2026წ.) და საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიის მიტროპოლიტის 2026 წლის 02 აპრილის №10/1426092466-14 (№17; 26.03.2026წ.) წერილების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3800 კვ. მეტრი მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების (1000 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, ყოველთა ქართველთა წმინდათა სახელობის დედათა მონასტრისათვის; 2000 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, აღდგომის მამათა მონასტრისათვის; 800 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, შემოქმედის ეპარქიის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნინოშვილში წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრისა და მონასტრისათვის) ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს ამ განკარგულებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2026 წლის 08 აპრილის №10/1426098548-14 (№22; 08.04.2026წ.) და საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიის მიტროპოლიტის 2026 წლის 02 აპრილის №10/1426092466-14 (№17; 26.03.2026წ.) წერილები საქართველოს საპტრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის და საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილების გადაცემის თაობაზე, კერძოდ:

1000 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, ყოველთა ქართველთა წმინდათა სახელობის დედათა მონასტრისათვის;

2000 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, აღდგომის მამათა მონასტრისათვის;

800 კვ. მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, შემოქმედის ეპარქიის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნინოშვილში წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრისა და მონასტრისათვის).

მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არაა მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობაში გადასცეს უშუალოდ ეკლესია/მონასტრებსა და გიმნაზიას. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში მუდმივ სარგებლობაში გადასცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 08 აპრილს შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის წერილი (№22; 08.04.2026წ.) და 2026 წლის 02 აპრილს შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიის წერილი (№17; 26.03.2026წ.) მეორადი ქვაფენილების საპატრიარქოსათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მეორადი ქვაფენილები (3800 კვ. მეტრი) ეკლესია/მონატრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3800 კვ. მეტრი მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების მართვის
სამსახურის უფროსი
დავით კოპინაძე